ფაილური სისტემის კატალოგი

1. **ფაილური სისტემის სახელწოდება:**
SAESA-სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა

2. **მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის დასახელება და მისამართი, მონაცემთა შენახვის ან/და დამუშავების ადგილი**

იურიდიული პირი ☒ **ფიზიკური პირი** ☐	
სახელი, გვარი/სახელწოდება	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი	202178927
ფაქტობრივი/რეგისტრაციის მისამართი	ქ.თბილისი,0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ფაქტობრივი იგივე
ტელეფონის ნომერი	(+995 32) 510 047; 510 048; 510 049
ელ-ფოსტა	**info@ssa.gov.ge**
მონაცემთა შენახვის ან/და დამუშავების ადგილი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ– სოციალური მომსახურების სააგენტო

3. **მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი**
„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილება, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილება

4. **მონაცემთა სუბიექტის კატეგორია**
მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველი ოჯახი, რომელიც შეიძლება გახდეს სოციალური დახმარების მიმღები

5. **მონაცემთა კატეგორია ფაილურ სისტემაში**
სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, მონაცემები შემოსავლების, ქონების, დემოგრაფიული და ჯანმრთელობის მდგომარეობის, განათლების შესახებ

6. **მონაცემთა დამუშავების მიზანი**
სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ოჯახების აღრიცხვა, სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე სოციალური დახმარების მიზანმიმართულად და ეფექტიანად განაწილების მიზნით

7. **მონაცემთა შენახვის ვადა**
კანონის შესაბამისად

8. **მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის ფაქტი და საფუძვლები**
არ დაფიქსირებულა

9. **ფაილურ სისტემაში განთავსებულ მონაცემთა მიმღები და მათი კატეგორიები**
„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–17 მუხლის და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე–8 მუხლის თანახმად, გარკვეული მიზნებისათვის უზრუნველყოფილია მონაცემთა საჯაროობა. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ოჯახის დეკლარაციის“ ფორმა ითვალისწიებს ოჯახის ინფორმირებულ თანმხობას, გარკვეულ შემთხვევებში მისი მონაცემების საჯაროობაზე, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. **ინფორმაცია მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და სართაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ და ასეთი გადაცემის სამართლებრივი საფუძვლები**
არ არსებობს

11. **მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის დადგენილი პროცედურის ზოგადი აღწერილობა**
განსაზღვრულია ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, მონაცემთა შენახვისა და დამუშავებისათვის საჭირო მონაცემთა ბაზები ცენტრალიზებულია და განთავსებულია საერთაშორისო სტანდარტების მონაცემთა ცენტრში.
კავშირი განხორციელებულია ვებ-ტექნოლოგიით, დაცული არხებით (VPN), ფუნქციონირებს პაროლების სისტემა მკაცრად გაწერილი როლებით, პერსონალურ მონაცემთა გამოთხოვა ლოგირდება